Co-funded by the European Union

ევროკავშირის დაფინანსებით. თუმცა შეხედულებები და მოსაზრებები, ეკუთვნის
მხოლოდ ავტორებს და არ ასახავს ევრო კავშირის ან ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოსას (EACEA). არც ევროკავშირი და არც EACEA არ არის მათზე პასუხისმგებელი.

გუდასტვირის სფეროს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები ევროპაში.

ერაზმუს + პროგრამის პროექტი

„ევროპელი მეგუდასტვირეების ქსელი“

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (ICH) – ცოდნა, პრაქტიკა და ევროპის მოქალაქეების ტრადიციები არის ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო ტრადიციული მუსიკა მისი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, პოპულარული და თვალსაჩინო სფეროა.

მსგავსი მიზნებით – ICH-ის კონკრეტული სფეროს (გუდასტვირის დაკვრისა და დამზადების ტრადიცია) დაცვა და ხელშეწყობა – გაერთიანებულმა ექვსმა ორგანიზაციამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან პროექტის მიზნების (საზოგადოების მეტი აქტიურობის ხელშეწყობა და უფრო მეტად ინკლუზიური საზოგადოების ფორმირება) პარალელურად ძალისხმევა მიმართა მათი პერსონალისა და ორგანიზაციების, სამიზნე ჯგუფების, ICH-ის პრაქტიკოსების ცოდნისა და უნარების გასაძლიერებლად.

პროექტის მთავარი მიზანი მიიღწევა სხვადასხვა გზით: საპროექტო აქტივობები, პროექტის განხორციელება მრავალფეროვანი და ეფექტური გზით: პროექტის პარტნიორების პერსონალისა და პრაქტიკოსების ტრენინგები ყველა პარტნიორ ქვეყანაში, პროექტის ფარგლებში შექმნილი საგანმანათლებლო მასალები (ინტელექტუალური შედეგები). ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობა მაქსიმალურად ბევრი მიზნობრივი ჯგუფისა და დაინტერესებული მხარისათვის პროექტის შედეგების მიწოდების მიზნით.

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ევროპელ მეგუდასტვირეთა ქსელი როგორც თავად პარტნიორი ორგანიზაციების, ასევე ICH-ის, და პროექტის მონაწილე სხვა ადგილობრივი და ეროვნული დონის ორგანიზაციების ჩართულობით, მათი კომპეტენციისა და მოზრდილთა არაფორმალური განათლების ამაღლების მიზნით. პროექტი საშუალებას მისცემს ადამიანებს ევროპის სრულიად განსხვავებული ქვეყნებიდან იმუშაონ ერთად, ამგვარად აიმაღლონ ცოდნა ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, და გააძლიერებს მასთან კუთვნილების შეგრძნებას როგორც მათში, ისე მათ თემებში.

ბელორუსული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი – ორგანიზაცია რომელიც წარმოადგენს ბელორუსულ ტრადიციულ კულტურას, ასევე ჩართულია მასში, როგორც პროექტის ასოცირებული პარტნიორი.

პროექტის ხანგრძლივობაა 01.09.2022. – 31.08.2024 წ., ბიუჯეტი შეადგენს 120 000 ევროს. პროექტი მხარდაჭერილია ლატვიის კულტურის ეროვნული ცენტრისა და იუნესკოში ლატვიის ეროვნული კომისიის მიერ.

პროექტის პარტნიორები

ლატვია

კოორდინატორი პარტნიორი

სუიტების კულტურული მემკვიდრეობის ფონდი

SUITU KULTŪRAS MANTOJUMS

სუიტების კულტურული მემკვიდრეობის ფონდი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 2013 წელს დაარსდა. მისი მიზანია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის განსხვავებული ასპექტების ხელშეწყობა და განვითარება.

ფონდის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაციების საგანმანათლებლო აქტივობებს ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის (სკოლამდელი ასაკის ბავშვებიდან უფროსებამდე).

სუიტების კულტურული მემკვიდრეობის ფონდის საქმიანობის პირდაპირი სამიზნეა სუიტის რეგიონის მოსახლეობის ყველა ასაკობრივი ჯგუფი (დაახლოებით 2500 ადამიანი). ჩვენი თემის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სოციალურად ან/და ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფების წარმომადგენელი – მოხუცები, უმუშევრები და განსაკუთრებით ხალხი შორეული სოფლებიდან.

არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურობს ტრადიციული კულტურის სხვადასხვა სფეროში, დაფინანსებას თავისი საქმიანობისთვის სხვადასხვა ფონდებიდან იზიდავს. დიდი აქცენტი კეთდება ტრადიციული მუსიკალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე: აორგანიზებს ტრადიციული მუსიკალური ინსტრუმენტების მასტერკლასებს და კონცერტებს, გუდასტვირის ფესტივალებს; მუსიკალური მემკვიდრეობის გაციფრულების აქტივობებს.

სუიტების კულტურული მემკვიდრეობის ფონდი რეგულარულად აწყობს კონცერტებსა და პერფორმანსებს ადგილობრივ ფოლკლორულ ჯგუფებთან – მომღერლებთან, ხალხური მოცეკვავეებთან და ინსტრუმენტალისტებთან თანამშრომლობით.

ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ადგილობრივი დიალექტის კვლევასა და პოპულარიზაციაზე. ასევე ბავშვებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა აქტივობებზე – პუბლიკაციები, ღონისძიებებზე ბავშვიანი ოჯახებისთვის, და ა.შ.

ის თანამშრომლობს მის მხარდამჭერ სხვადასხვა ორგანიზაციასთან – 2022 წელს ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს სუიტის რეგიონის ორგანიზაციებსა და რამდენიმე ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული დონის ორგანიზაციას შორის. დღემდე პროექტების უმეტესობა მხარდაჭერილია კულტურული კაპიტალის სახელმწიფო ფონდის, ევროკავშირის ფონდებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ.

ხორვატია

ხორვატიის ტრადიციული საკრავების ცენტრი

ხორვატიის ტრადიციული საკრავების ცენტრი 2007 წელს დაარსდა ხორვატიული ტრადიციული ინსტრუმენტების დაკვრისა და დამზადების, კვლევისა და ცოდნის ამაღლების მიზნით. ჩვენი ძირითადი საქმიანობა არის ტრადიციულ საკრავებზე დაკვრისა და მათი დამზადების შესახებ სემინარების ორგანიზება და ჩატარება, ფესტივალებისა და კონცერტების ორგანიზება, ტექსტების, წიგნების, აუდიო და ვიდეო მასალების გამოცემა, უცხოეთთან კავშირების დამყარება და საერთო ინტერესების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ამ აქტივობების ფარგლებში უკვე 14 წელია ჩვენ ვაწყობთ მეგუდასტვირეთა საერთაშორისო ფესტივალს. რეგულარულად ვატარებთ მასტერკლასებს ტრადიციული საკრავების დაკვრასა და დამზადებაზე როგორც ხორვატიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გამოვეცით ორი წიგნი (ხორვატიული გუდასტვირები – GAJDE და ხორვატიული გუდასტვირები – DUDE), სამი DVD და ორი CD. ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს ბევრ კულტურულთან ინსტიტუციასა და ფოლკლორული ჯგუფთან. ყველა ჩვენს პროექტს მხარს უჭერს ხორვატიის კულტურის სამინისტრო.

ვმუშაობთ ყველა ასაკის ადამიანებთან (ვაწყობთ მასტერკლასებს ბავშვებისთვის საბავშვო ბაღებში, სკოლებში; სტუდენტებისთვის – უნივერსიტეტებში; მოზრდილებისთვის, პედაგოგებისთვის, ლექტორებისთვის, ფოლკლორული საზოგადოების წევრებისთვის და ა.შ). ზოგჯერ ვაწყობთ მასტერკლასებს სპეციალური საჭიროების (აუტიზმი, და სხვ.) მქონე პირთათვის.

ამ პროექტის სამიზნე ჯგუფია მოზრდილები, რომელთაც სურვილი აქვთ ისწავლონ გუდასტვირზე დაკვრა ან მისი დამზადება, ასევე ამ საკრავზე დამკვრელები ან მისი დამზადების ოსტატები ვისაც სურს თავისი გამოცდილება სხვებს გაუზიაროს.

იტალია

მულტიეთნიკური კულტურული ასოციაცია

MULTIETNICA

მულტიეთნიკა არის სამხრეთ იტალიის ბაზილიკატას რეგიონში მდებარე კულტურული ასოციაცია. 1997 წლიდან მას განხორციელებული აქვს კულტურული პროექტები ცოცხალი მუსიკის სფეროში და მუსიკალური ფესტივალები, რომლებიც ხელს უწყობს დამოუკიდებელი მუსიკის შექმნას და შესაფერის პირობებს უქმნიან ახალგაზრდა მუსიკოსებს. მან ასევე შეიმუშავა პროექტი ღია ბგერა, რომლის მიზანია შექმნას ხიდი ხალხურ/ტრადიციულ მუსიკასა და თანამედროვე მუსიკას შორის, შექმნა რა ღია-წყაროების ბიბლიოთეკა ადგილობრივი ტრადიციული ხმებით, რომელსაც მრავალი პროდიუსერი იყენებს და პოპულარიზაციას უწევს ხალხურ საკრავებზე დაკვრასა და ელექტრონულ მუსიკას. ევროპული პროექტის მენეჯმენტთან მიმართებით, მულტიეთნიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ახალბედა. თუმცა, მულტიეთნიკა 25 წელზე მეტია მუშაობს რეგიონული და ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული შეთავაზებების პროპაგანდაზე. ევროპულ პარტნიორობაში მონაწილეობა სასიამოვნო და ღირებული იქნება ორგანიზაციის ბიოგრაფიის გამდიდრებისა და ჩვენი მეთოდების გამტკიცებისთვის.

მოსწავლეები არიან მთიან მხარეში მცხოვრები თემები. ბევრი აქტივობა ჩატარდება ვალ სარმენტოში, ბაზილიკატას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იზოლირებულ ნაწილში. ეს ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობისა და ზამპონიას ტრადიციის შენარჩუნებას. ეს პროექტი იძლევა სხვა, მსგავსი ტრადიციების გაცნობის შესაძლებლობას ევროპის ტერიტორიაზე, პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ვალ სარმენტოში სხვადასხვა ადგილებიდან ჩასული მუსიკოსები და გამოცდილებას გაუზიარებენ ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მუსიკოსებს. ბევრი ინსტრუმენტალისტი, ამავდროულად ხელოსანიცაა, ასე რომ აქტივობები მოიცავს მასტერკლასებს საკრავის დამზადების საქმეში.

ესპანეთი

გრაუსის მეგუდასტვირეთა ასოციაცია

GAITEROS de GRAUS

ჩვენ, როგორც იურიდიულმა ორგანიზაციამ მუშაობა 2007 წელს დავიწყეთ, მანამდე ჩვენ ადგილობრივი მეგუდასტვირეები ვიყავით. ჩვენი რეგიონის წამყვანი მეგუდასტვირეების ბოლო ფოტო ჩვენს ქალაქში 1911 წელს გადაიღეს. ამ მეგუდასტვირეების გაუჩინარების შემდეგ, დაკვრა ადგილობრივმა არაპროფესიონალმა მეგუდასტვირეებმა დაიწყეს.

ჩვენს ტრადიციას ვერ გავიგებთ გუდასტვირებისა და მეგუდასტვირეების გარეშე. 1973 წელს ჩვენი ტრადიციული ცეკვები ეროვნული ტურისტული ინტერესების ტრადიციად აღიარეს. ჩვენ ვმონაწილეობთ ღონისძიებებში სახელწოდებით „ეროვნული ტურისტული ინტერესი“ და ვზრუნავთ ჩვენს გუდასტვირებზე, ჩვენს სიმღერებზე, ცეკვებზე, კოსტიუმებზე.

ბევრი ვიმუშავეთ, რომ მუსიკალურ სკოლებში შეგვეტანა გუდასტვირის სპეციალობა 2010 წელს. ვაწყობთ მასტერკლასებს ჩვენი გუდასტვირის შესახებ, მონაწილეობას ვიღებთ ადგილობრივ ტრადიციულ ღონისძიებებში, ვაწყობთ ფესტივალს „პირინეების ტრადიციული მუსიკის შეხვედრა“, და ტრადიციული სპექტაკლებს ჩვენი რეგიონის სხვა ქალაქებში. ზაფხულში ვაწყობთ მასტერკლასს ყველა სახის საკრავისთვის (გიტარა, მანდოლინა, ვიოლინო, აკორდეონი...), რათა დავუახლოვდეთ ჩვენს ტრადიციულ მუსიკასა და ცეკვებს. გვაქვს ორი სახის მასტერ კლასი მოზრდილებისა და ბავშვებისთვის.

ჩვენ ვმუშაობთ მოზრდილებთან, ასევე გვაქვს აქტივობები ბავშვების ჩართულობისთვის გუდასტვირის ტრადიციაში, სწავლასა და დაკვრის პრაქტიკაში. ჩვენ ვართ 40 –68 წლის ასაკის ადამიანების პატარა, დაახლოებით 6 კაციანი ჯგუფი, რომლებიც ვმონაწილეობთ ყველა პროექტის ორგანიზებაში, მაგრამ ზოგიერთ აქტივობებში ჩვენ ვართ 12 –68 წლის ასაკის 20 მეგუდასტვირე.

ჩვენ ვქმნით რესურსებს და პუბლიკაციებს მოზრდილებისთვის, და გვაქვს ერთი პროექტი ბავშვებისთვის სახელწოდებით „პეპა ჩირეტა“ ბავშვების ჩართულობისთვის გუდასტვირის პრაქტიკაში; და კიდევ ერთი Youtube-ის ვიდეოებზე დაფუძნებული პროექტი სახელწოდებით „ჩემი მეგობარი მეგუდასტვირეები“ ევროპის სხვა გუდასტვირების წარმოსაჩენად.

სლოვაკეთი

სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდია

სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდიის მიზანია დაიცვას ტრადიციები: მოახდინოს მათი დაფიქსირება, პოპულარიზაცია, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას; შეინარჩუნოს მათთან დაკავშირებული ცოდნა, ოსტატობა და გუდასტვირის დაკვრასა და დამზადებასთან დაკავშირებული მხატვრული უნარები სლოვაკეთში, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული მოვლენები, გამოზარდოს ოსტატები და შეგირდები, უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობები მათი საქმიანობისთვის და გააფართოოს თავისი ბაზა ძირითადად ახალგაზრდობისა და ბავშვების ხარჯზე.

ამ მიზნის მისაღწევად გილდიის როლი უნდა იყოს კონკრეტული:

1. შექმნას ინტენსიური საკონტაქტო სივრცე მეგუდასტვირეებსა და გუდასტვირის მწარმოებლებს შორის, აგრეთვე სივრცე კონტაქტისთვის ტრადიციული ხალხური მუსიკის სხვა სფეროების წარმომადგენლებთან, კულტურის, გამოცდილებისა და ინფორმაციის
ურთიერთსასარგებლო გაცვლის მიზნით,
2. ხელი შეუწყოს გუდასტვირის დაკვრის არსებული და ახალი შესაძლებლობების შექმნას კონცერტების, გამოფენების და სხვა შესაძლებლობების მეშვეობით გილდიის წევრების მხატვრულ და პროფესიონალურ თვითრეალიზაციაში წვლილის შესატანად,
3. გუდასტვირის ტრადიციის გავრცელება, განვითარება და პოპულარიზაცია როგორც სლოვაკეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდიის წევრები არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: უნივერსიტეტის პედაგოგები, მეცნიერები,
ანალიტიკოსები, მენეჯერები, მეწარმეები, სტუდენტები და პენსიონერები, სულ 52 წევრი.

საქართველო

3. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (https://tsc.edu.ge/) არის საქართველოს მნიშვნელოვანი კულტურული და სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი. დაარსების დღიდან (1917) იგი გახდა ერთ-ერთი მთავარი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში.
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ფოლკლორის შესწავლის განსაკუთრებით მდიდარი ტრადიცია აქვს.
პროექტს განახორციელებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი
(IRCTP).
მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2003 წელს დაარსდა იუნესკოსა და მსოფლიოში ცნობილი ეთნომუსიკოლოგების მხარდაჭერით, რომლებიც მონაწილეობდნენ ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმში (2002). კონსერვატორიის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი არის ორი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი: ESEM (ეთნომუსიკოლოგიის ევროპული სემინარი) და ICTM (ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭო).
ცენტრის წევრებს აქვთ პროექტების მენეჯმენტისა და დაფინანსების გამოცდილება – მისი ძირითადი საქმიანობაა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზება. 2002 წლიდან ცენტრმა ჩაატარა 11 სიმპოზიუმი, მე-12 სიმპოზიუმი დაგეგმილია 2024 წლის სექტემბერში. წინა სიმპოზიუმებმა უმასპინძლა 100-ზე მეტ უცხოელ და ქართველ მეცნიერსა და ქართული და მსოფლიო ხალხური სიმღერების 1000-მდე ქართველ და უცხოელ შემსრულებელს 20 ქვეყნიდან;
გამოქვეყნებულია და ცენტრის ვებგვერდზე (www.polyphony.ge; http://symposium.polyphony.ge/) ატვირთულია წინა სიმპოზიუმების შრომები და ბუკლეტები (ბოლო 5 თან დართული აქვს DVD-ები).
გარდა ამისა, ცენტრს აქვს ფართო საერთაშორისო კონტაქტები, მუდმივად ახორციელებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებს.

GOOD PRACTICE EXAMPLES

ბელარუსი

ასოცირებული პარტნიორი

ბელარუსული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი

ჩვენი ორგანიზაცია შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოებისა და უმცირესობების თემებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი საქმიანობის სფერო მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა უფლებების დაცვა, სამოქალაქო თავისუფლებებისა და დემოკრატიის, მეცნიერების, განათლების, უმაღლესი განათლების, ტრენინგისა და აღზრდის, კულტურის, ხელოვნების, კულტურული ღირებულებებისა და ეროვნული მემკვიდრეობის განვითარების ხელშემწყობი საქმიანობა. ასევე აქტივობები ევროინტეგრაციის მიმართულებით და საზოგადოებებს შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის, ადგილობრივი თემების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. ამ მიზნებს ვაღწევთ სხვადასხვა სახის ღონისძიებების, მათ შორის არაფორმალური განათლების, ტრადიციულ კულტურასთან დაკავშირებული აქტივობების ტრენინგების ორგანიზებით.

გვაქვს კონცერტების ორგანიზების გამოცდილება – ჩვენი განსაკუთრებული მიმართულება არის ხალხური მუსიკა. ჩაწერილი და გამოქვეყნებული გვაქვს მუსიკალური მასალა. ჩვენი ზოგიერთი პროექტი უშუალოდ გუდასტვირების დაცვას, განვითარებასა და პოპულარიზაციას მიეძღვნა.

2017 წლიდან ვატარებთ ფესტივალს „ევროპული გუდასტვირების რეგიონები ბელორუსში, ჰლიბოკაეში“. ფესტივალი ხელს უწყობს ევროპის გუდასტვირების სხვადასხვა რეგიონების ინტეგრაციის იდეას საერთო ღონისძიებების ორგანიზებით და გამოცდილების გაცვლით.

ჩვენი სამიზნე ჯგუფია პოლონეთში, პოდლასიეს რეგიონში მცხოვრები ბელარუსული უმცირესობა. ჩვენი სურვილია ჩავრთოთ ისინი ბელარუსული გუდასტვირის კულტურის აღორძინების საქმეში.

ლატვია

სუიტის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი

გუდასტვირის დაკვრისა და უნარების აღორძინება სუიტის რეგიონში

ყველაზე ადრეული ინფორმაცია სუიტის მეგუდასტვირეებზე მე-19 საუკუნის შუა ხანებით თარიღდება – მასში აღნიშნულია, რომ 1860 წლის ზაფხულში, როდესაც რუსეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე II ლიეპაიას ეწვია, მისთვის ცალკე მუსიკალურ პავილიონში უკრავდა სუიტების ჯგუფი: 7 გუდასტვირზე და 8 თხის რქაზე.

მე-19 საუკუნის ბოლოს ლატვიაში თითქმის აღარსად უკრავდნენ გუდასტვირზე, სავარაუდოდ, სხვა ინსტრუმენტების კონკურენციის გამო.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში უკანასკნელი მეგუდასტვირეები მხოლოდ სუიტის რეგიონში მოიძებნებოდნენ, თუმცა, 1950-იან წლებამდე გუდასტვირზე დაკვრა აქაც სრულად იყო გამქრალი 60 წელზე მეტი ხნით.

გუდასტვირის აღორძინება სუიტის რეგიონში 2013 წლის იანვარში დაიწყო, როდესაც ალსუნგაში წმ. მიქაელის რომის კათოლიკური ეკლესიის მოძღვარმა ანდრის ვასიევსკისმა პირველი გუდასტვირები ჩაიტანა ალსუნგაში. მუსიკოსმა ალეტა ლიპსნემ დაიწყო თვითნასწავლი ედუარდ კლინტსის მიერ შექმნილი საკრავის სწავლა. სხვა ადგილობრივი ენთუზიასტებიც დაინტერესდნენ გუდასტვირზე დაკვრით და 2014 წელს ალსუნგაში ჩატარდა გუდასტვირზე დაკვრის ტრენინგი, რომელსაც ედუარდ კლინტსი ხელმძღვანელობდა. ეს ტრენინგი მოაწყო და ორი ინსტრუმენტი შეიძინა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – სუიტის ეთნიკური კულტურის ცენტრის ფონდი.

სუიტის მეგუდასტვირეებს (3 მეგუდასტვირე და 1 დრამერი) პირველი საჯარო გამოსვლა 2014 წლის ივნისში ჰქონდათ, ბურდონის საერთაშორისო ფესტივალზე ალსუნგაში.

ამჟამად ალსუნგაში უკვე სულ 12 მეგუდასტვირეა და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

2019–2020 წლებში ფოლკლორული ჯგუფის "სუიტის მეგუდასტვრეები“ (ხელმძღვანელი იურის ლიპსნისმაც დაიწყო გუდასტვირის დამზადება.

ლიპშნისების ოჯახი – გუდასტვირის ტრადიციის ენთუზიასტები სუიტის რეგიონში

ალეტა ლიპსნე, სუიტების ტრადიციული კულტურის ენთუზიასტი, ასევე იყო ცნობილი ფოლკლორული ჯგუფის "Suitu sievas" მომღერალი, პირველი ადამიანი სუიტის რეგიონში, ვინც გუდასტვირზე დაკვრა ისწავლა 2013 წელს. თავიდან დამოუკიდებლად ისწავლა. ამ პროცესში ძალიან გამოადგა მისი, როგორც მუსიკოსის, პროფესიული განათლება.

ვინაიდან გუდასტვირზე ტრადიციულად მამაკაცები უკრავდნენ, მისით ალეტას ქმარი იურისიც დაინტერესდა. მაგრამ იურისს არც მუსიკალური განათლება ჰქონდა და არც პრაქტიკული გამოცდილება ტრადიციულ ფოლკლორში. ედუარდ კლინტსის მიერ ჩატარებული ტრენინგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რეგულარული ვარჯიშით ისწავლა კარგ დონეზე დაკვრა და გახდა ფოლკლორული ჯგუფის "Suitu dūdenieki" (სუიტის მეგუდასტვირეები) ხელმძღვანელი.

ვინაიდან რეგიონში არ იყო გუდასტვირის დამზადების ოსტატი, მალე ცხადი გახდა, რომ მას თვითონ უნდა ესწავლა საკრავის დამზადება, აწყობა და შეკეთება. ამ უნარების შესასწავლად იურისმა მონაწილეობა მიიღო 2017 წელს დრაბეშში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში. 2019/2020 წლებში კი მან მსგავსი პროექტი განახორციელა სუიტის რეგიონის კულტურის კაპიტალის სახელმწიფო ფონდის თანადაფინანსებით. ოსტატის ულდის ავსტრინშის ხელმძღვანელობით და იურის ლიპსნისის დახმარებით პროექტის მონაწილეებმა 7 გუდასტვირი თვითონ დაამზადეს.

სუიტის რეგიონში გუდასტვირის დაკვრის პოპულარიზაციის კიდევ ერთი გზა არის მასტერკლასების გამართვა სხვადასხვა საჯარო ღონისძიებებზე – როგორიცაა სუიტის ხელოსნობის დღეები და სუიტის ოჯახის დღეები. ფოლკლორულ ჯგუფთან "Suitu dūdenieki" თანამშრომლობისა და სუიტის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის დახმარებით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა სცადოს გუდასტვირის დაკვრა. ეს შესაძლებელია იურის ლიპნისის მიერ შექმნილი მეთოდის გამოყენებით – სტაჟიორს მკლავის ქვეშ უჭირავს გუდასტვირის გუდა და უკრავს, მაშინ როცა გუდას ინსტრუქტორი ბერავს. ასეთი ჰიგიენური ზომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პანდემიის დროს.

ბოლო წლებში სულ მცირე 50–60 დაინტერესებულმა ადამიანმა – არა მარტო ადგილობრივებმა, არამედ ასევე სტუმრებმა ლატვიის სხვა ადგილებიდან და რამდენიმე უცხოელი სტუმარმაც კი – სწორედ ასეთ გაკვეთილებზე ისწავლეს გუდასტვირის დაკვრა.

ლიპშნების ოჯახი არის მეგუდასტვირეების ბირთვი ალსუნგაში – სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობით როგორც სუიტის რეგიონში, ისე ლატვიის სხვა ადგილებში და საზღვარგარეთ, და ასევე გუდასტვირზე დაკვრის პოპულარიზაციისთვის მასტერკლასებისა და სემინარების მოწყობით, ისინი სხვა ადამიანებსაც შთააგონებენ ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის ამ ღირებული ნაწილის დაცვას.

ლატვიელ მეგუდასტვირეთა ყოველწლიური ფესტივალისუიტის რეგიონში

უკანასკნელ წლებში ლატვიაში სწრაფად გაიზარდა ინტერესი ტრადიციული გუდასტვირის დაკვრისა და დამზადების მიმართ. სუიტის მეგუდასტვირეთა ინიციატივას მოყვა ლატვიური ტრადიციის დაწყება: 2018 წლის მაისის ბოლოს სუიტის მეგუდასტვირებმა და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ალსუნგაში – სუიტის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი ერთად მოაწყვეს ლატვილ მეგუდასტვირეთა პირველი შეხვედრა სუიტის რეგიონში, რომელშიც 16 მეგუდასტვირე და 4 დრამერი მონაწილეობდა. ამ ღონისძიების მიზანი იყო მეგუდასტვირეთა და გუდასტვირის დამზადების ოსტატების შეკრება მთელი ლატვიიდან გამოცდილების და უნარების გასაზიარებლად, ასევე ცოდნის მისაღებად გამოცდილი გუდასტვირის ლატვიელი და უცხოელი სპეციალისტებისგან.

2018 წლიდან ასეთი ღონისძიებები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება სუიტის რეგიონში, იზიდავს ლექტორებსა და პრაქტიკული მასტერკლასის წამყვანებს ლატვიიდან და ესტონეთიდან. კარგი თანამშრომლობა გვაქვს ესტონელ სპეციალისტთან, ეთნომუსიკოლოგ ლეანე ბარბოსთან, ასევე მნიშვნელოვანი ცოდნა მივიღეთ გუდასტვირის ტრადიციის ამღორძინებლის, ლატვიის უნივერსიტეტის პროფესორის, ვალდის მუკტუპაველსისგან და ა.შ.

2023 წელს სუიტის რეგიონში დაგეგმილია ლატვიელ მეგუდასტვირეთა მე–6 ყოველწლიური ფესტივალის ჩატარება. სხვა აქტივობებთან ერთად, ასევე დაგეგმილია მცირე ექსპოზიციის მოწყობა გუდასტვირის ისტორიისა და აღორძინების შესახებ სუიტის რეგიონში.

იურის ლიპსნისისა და ძინტარს ლეიას ფოტოები.

ხორვატია

ხორვატიის ტრადიციული საკრავების ცენტრი

ძველი ტრადიციული მუსიკალური საკრავების რეკონსტრუქცია და რესტავრაცია

ხორვატია ძალიან მდიდარია ძველი ტრადიციული მუსიკალური საკრავებით, განსაკუთრებით გუდასტვირის ტიპის საკრავებით რომელთა სულ მცირე ათი სხვადასხვა სახეობაა აღნუსხული. ბევრი მათგანი მე–20 საუკუნის მეორე ნახევარში გაქრა და აღარავინ იცოდა მათი დამზადება ან დაკვრა. მათი ნახვა მხოლოდ მუზეუმებში შეიძლებოდა და არსებობდა ძველი მეგუდასტვირეების რამდენიმე ჩანაწერი. ეს განსაკუთრებით ეხება ოთხ და ხუთხმიან „დუდეს“,მეტად მნიშვნელოვან, გუდასტვირის ტიპის ტრადიციულ საკრავებს. ვარაუდობენ რომ ისინი ხორვატებმა თან მოიტანეს, როცა ამ რეგიონში VII–VIII საუკუნეებში გადმოსახლდნენ. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში კონტინენტური ხორვატიის ნაწილებში ბევრი მეგუდასტვირე იყო და ეს საკრავი ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ზოგიერთი ძველი მესიკოსი (როგორიცაა მარკო კრიჟანი ბიელოვარის რეგიონიდან) დღესაც მოიხსენიება, როგორც შესანიშნავი მეგუდასტვირე და ოსტატი.

მრავალი მივიწყებული საკრავი, განსაკუთრებით ოთხ და ხუთ-ხმიანი გუდასტვირები აღადგინეს და გააცოცხლეს სტეპან ვეჩკოვიჩის წყალობით. უკიდურესად რთული იყო დაკვრის ტექნიკის აღდგენა მხოლოდ რამდენიმე ორიგინალური აუდიო ჩანაწერის საფუძველზე. დღეს უკვე არის რამდენიმე ახალგაზრდა მუსიკოსი, რომლებიც ამ საკრავებზე ძალიან კარგად უკრავენ.

სემინარები ტრადიციული საკრავების დაკვრისა და დამზადების შესახებ

ხორვატიული ტრადიციული საკრავების ცენტრი ყოველწლიურად აწყობს სემინარების სერიას ტრადიციული საკრავების დაკვრასა და დამზადებაზე. სემინარები ტარდება მთელ ხორვატიაში და დიდ დახმარებას უწევს კულტურისა და ხელოვნების ადგილობრივ საზოგადოებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბევრი ტრადიციული საკრავი თითქმის გამქრალია და ეს სემინარები უკიდურესად სასარგებლოა მათი დაცვისა და სცენაზე გამოყენებისთვის. ამ დროისთვის, სემინარებში მონაწილეობა უკვე მიიღო სხვადასხვა ასაკის 1000-ზე მეტმა მსურველმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა. სტუდენტები სწავლობენ გუდასტვირსა და სხვა საკრავებზე დაკვრის საბაზისო და მოწინავე ტექნიკას, თუ როგორ უნდა ააწყონ გუდასტვირი, მოუარონ მას და აგრეთვე, საკრავების დამზადების ძველ და თანამედროვე ტექნიკებს.

წლის განმავლობაში ტარდება მინიმუმ 10 სემინარი, და მათ ჩატარებას მხარს უჭერს ხორვატიის რესპუბლიკის კულტურისა და მედიის სამინისტრო.

მეგუდასტვირეთა საერთაშორისო ფესტივალი ხორვატიაში

2007 წლიდან ხორვატიული ტრადიციული საკრავების ცენტრი ატარებს მეუდასტვირეთა საერთაშორისო ფესტივალს, გუდასტვირზე დაკვრის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით. ფესტივალი რეგულარულად იმართება ყოველი წლის შემოდგომაზე და სამიდან შვიდ დღემდე გრძელდება. საფესტივალო აქტივობები ტარდება დედაქალაქ ზაგრებში, და რამდენიმე პატარა ქალაქში (მიჰოვლიანი, ბელეცი, გოსპიჩი, ბიელოვარი). ფესტივალის მიზანია წაახალისოს ახალგაზრდა მუსიკოსები, შეინახონ გუდასტვირზე დაკვრის ტრადიცია. ფესტივალის ფარგლებში ასევე ტარდება გუდასტვირზე დაკვრის მასტერკლასები.

ფესტივალის თემატიკა ყოველწლიურად განსხვავებულია. ზოგჯერ ეს არის სოლისტი მეგუდასტვირეები, ზოგჯერ მცირე მუსიკალური ჯგუფები და დიდი ორკესტრები, ყველაზე საინტერესო კი იყო კონცერტები, რომლებიც ეძღვნებოდა მეგუდასტვირე ქალებს. გუდასტვირის გარდა კონცერტებზე ასევე წარმოდგენილია მრავალი სხვა ტრადიციული საკრავი, რაც ფესტივალს მიმზიდველს ხდის როგორც დამკვრელების, ისე მაყურებლებისთვის. ფესტივალის უდიდესი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მუსიკოსები ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ გუდასტვირის დაკვრის, არამედ მისი დამზადების და შენახვის საქმეში.

ფესტივალის მონაწილეთა შორის იყვნენ მეგუდასტვირეები შემდეგი ქვეყნებიდან: კოლუმბია, მექსიკა, განა, იაპონია, ირლანდია, შოტლანდია, ბელგია, ნიდერლანდები, პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, ბელარუსი, შვედეთი, გერმანია, ავსტრია, იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი, სლოვენია, სერბეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი და ხორვატია.

Photos by: Stjepan Večković

იტალია

კულტურული ასოციაცია მულტიეთნიკა

გუდასტვირის ტრადიცია ბაზილიკატაში: ზამპონია ა კიავე და სურდულინა

გუდასტვირი საკმაოდ გავრცელებულია სამხრეთ იტალიის ბაზილიკატას რეგიონში, განსაკუთრებით პოლინოს მთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე; ასევე სარმენტო სინნის, ნოჩესა და აგრის დაბლობებზე. ამ მხარეში გავრცელებულია ორი სახის გუდასტვირი: სურდულინა და ზამპონია ა კიავე. ორივე ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხური საკრავია ბაზილიკატაში და ყველაზე აქტუალური მთლიანად იტალიურ ხალხურ ტრადიციაში; რაც გამოიხატება ამ რეგიონში, შემსრულებელთა ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით, რამდენიმეს სახელოსნოს არსებობით, სადაც ისინი მზადდება, ასევე მათი ჟღერადობისა და რეპერტუარების თავისებურებით. ეს საკრავები, დღესაც ისე გამოიყენება, როგორც წარსულში ხდებოდა სოფლად, განსაკუთრებით დღესასწაულებზე და რელიგიური მსვლელობის დროს. მათი მუსიკა ძველ ტრადიციული გზას მიჰყვება, სადაც მოსმენა, დამახსოვრება და იმიტაცია კვლავაც გადამწყვეტ როლს თამაშობს.ზამპონია ა კიავე შედგება კონუსის ფორმის ორი მელოდიის

სტვირისგან და სხვადასხვა სიგრძის, ორი ცილინდრული ბანის სტვირისგან, რომლებიც მოთავსებულია ხის ბლოკში; ეს უკანასკნელი მიმაგრებულია თხის მთლიანი ტყავისგან დამზადებულ გუდაზე; მას აქვს ინსუფლატორი, რომლის მეშვეობითაც შემსრულებელი გუდაში ჰაერს ბერავს. ზამპონია ა კიავეს მელოდიისა და ბანის სტვირები ორი ნაწილისგან შედგება: სტვირის ნაწილები (მილი და ზარი)

მიმაგრებულია ხრახნით. ხოლო ბანის სტვირების ნაწილები მოძრავია და სრიალებს, რაც საკრავის აწყობას აადვილებს. ზამპონიას მარცხენა სტვირს აქვს ბოლო თვალის დასაკეტი მეტალის გასაღები (კიავე), სწორედ აქედან მოდის საკრავის სახელწოდება. ზამპონია ა კიავე შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის, 50სმ დან 2 მეტრამდე სიგრძის.

სურდულინა შედარებით პატარაა, მას აქვს ერთნაირი სიგრძის, ხისგან დამზადებული 2 ცილინდრული მელოდიის სტვირი და ორი მოსრიალე ნაწილისგან შემდგარი ორი ცილინდრული ბანის სტვირი; სურდულინას გუდაც თხის ტყავისგან მზადდება. ზომის გარდა,ზამპონია ა კიავესა და სურდულინას შორის განსხვავება არის ენა: ზამპონია ა კიავეს აქვს ორმაგი ენები და ორგანოლოგიის თვალსაზრისით

წარმოადგენს ორმაგ ჰობოის ორი ბანის სტვირით; ხოლო სურდულინას აქვს მარტივი ენები და წარმოადგენს ორმაგ კლარნეტს ორით ბანის სტვირით. ორივე გამოიყენება მხოლოდ როგორც სოლო საკრავი; მათზე ასრულებენ სწრაფ საცეკვაო მუსიკას ან ნელ მუსიკას რელიგიური მსვლელობის როს; უფრო მეტიც, მათ იყენებენ სიმღერის თანხლებისთვის. მათ ასევე უკრავენ სხვა საკრავებთან ერთად, განსაკუთრებით დაირასთან/ტამბურელოსთან ერთად; ეს ჩვეულებრივი მოვლენაა იტალიურ ხალხურ მუსიკაში,მასზე იკვრება რიტმი ცეკვებისთვის. ამ რეგიონში ასევე გვხვდება ჩარამელა, რომელიც იტალიაში ცნობილია როგორც ხალხური ჰობოი. ეს არის ორმაგ ენიანი კონუსის ფორმის საკრავი, რომელსაც ზამპონია ა კიავესთან ერთად უკრავენ; ჩვეულებრივ ჩარამელაზე იკვრება მელოდია, ხოლო ზამპონია უზრუნველყოფს აკომპანიმენტს.

საკრავების დამზადება

გუდასტვირის კონსტრუქცია, განსაკუთრებით ზამპონია ა კიავე, მოითხოვს სპეციფიკურ უნარსა და აღჭურვილობას, რომელიც შედგება ხრახნისაგან, ბურღისა და ღეროებისგან. ზამპონია ა კიავეს კონსტრუქციაში იყენებენ სხვადასხვა სახის ხეს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კომბინაცია არის ნეკერჩხალი ბლოკისთვის, ზეთისხილი სტვირებისთვის (რადგან ის არ შთანთქავს სუნთქვის ტენს), და ალუბალი ან ნეკერჩხალი მელოდიის სტვირის ზარებისთვის. დამზადებას ოსტატი იწყებს შერჩეული ხიდან, რომელიც იჭრება სასურველ სიგრძეზე და იყოფა ოთხ ნაწილად. შემდგომში, ხის ნაჭრებს უხეშად ამუშავებენ დაზგაზე და ზუსტ ფორმას აძლევენ. ბანის სტვირის ცილინდრული ხვრელი ბურღით კეთდება დაზგაზე, ხოლო მელოდიის სტვირის კონუსური ხვრელი – სპეციალური გამაგანიერებელი ხელსაწყოთი; ხვრელების ზომა შეიძლება განსხვავებული იყოს, რაც გავლენას ახდენს საკრავის აწყობაზე. ზამპონია ა კიავეს ყველაზე ნაზი კომპონენტი არის ენა. ის

მზადდება გიგანტური ლერწმისგან (Arundo donax): კვანძთაშორის ნაწილს სამ ნაწილად ყოფენ, და თითოეული ნაწილისგან იღებენ საკრავის ენას. ენის სიგრძე განსაზღვრავს საკრავის აწყობას. ენის ზედა ნაწილი გლუვია როგორც ზეთისხილის ტოტი ან ფრჩხილი. თუ შიდა ღარი ძალიან ღრმაა, საკრავის ხმაც უფრო სერიოზულია. ენის ორ ნაწილს შორის ჩასმულია წრიული ფორმის ყლორტი და ძაფით არის შეკრული. გუდას ამზადებენ თხის მთლიანი ტყავისგან. ტყავს ამუშავებენ მარილით ან სპილენძის სულფატით. შემდეგ ზამპონიას ბლოკს ჩასვამენ გუდის ყელში, ინსუფლატორს მარჯვენა წინა ფეხში, ხოლო მარცხენას კვანძავენ რომ ჰაერი არ გამოვიდეს. პატარა სურდულინას დამზადება ნაკლებად რთულია; მცირე ზომის გამო,მისი დამზადება შესაძლებელია დანითაც. უბრალო ენა ლერწმისგან კეთდება. გუდა – ყოველთვის თხის მთლიანი ტყავისგან, ზამპონიას ანალოგიურად.

ზამპონიას დამკვრელების მუსიკალური თავყრილობა: მადონა დი პოლინოს ფესტივალი

ბაზილიკატაში პოლინოს მთის მიდამოებში, მუსიკოსების მთავარი თავყრილობებს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს რამდენიმე მნიშვნელოვანი რელიგიური პილიგრიმობა: მათ შორის მთავარი არის მადონა დი პოლინოს ფესტივალი, რომელიც ტარდება რეგიონის მფარველი წმინდანის, ღვთისმშობლის პატივსაცემად. მისი ყველა ერთგული მოილოცავს სან სევერინო ლუკანოს ტერიტორიაზე მთებში 1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ტაძარს. ადგილობრივი ლეგენდის თანახმად ღვთისმშობელი აქ გამოქვაბულში XVIII საუკუნეში ჩნდება. პოლინოს ფესტივალი შედგება სამი ეტაპისგან: პირველი ეტაპი ტარდება ივნისის პირველ შაბათ-კვირას; ღვთისმშობლის ქანდაკება სოფელ სან სევერინო ლუკანოდან პროცესიის თანხლებით ტაძარში მიაქვთ, მთელი დღის განმავლობაში პროცესია მოივლის დაბლობის ყველა სოფელს. მსვლელობაში მონაწილეობს ბევრი მეგუდასტვირე (ზამპონიას დამკვრელი). მთელი ამ დროის განმავლობაში უწყვეტად უკრავენ მუსიკას და ცეკვავენ, არიგებენ საჭმელს და სასმელს.
მეორე ეტაპი ტარდება მთაზე პარასკევს და შაბათს ივლისის პირველ კვირა
დღემდე. ტაძარში ასობით მომლოცველი ირევა, რომლებიც ერთ ღამეს მაინც ათენებენ ღია ცის ქვეშ. იმართება მსვლელობები, ფხიზლობენ, მღერიან და ცეკვავენ; ზამპონიას, ორგანეტის (დიატონური აკორდეონი) და ტამბურელოს უწყვეტად დაკვრით იქმნება ამ მოვლენისთვის ტიპური ბგერითი ლანდშაფტი. მესამე, ბოლო ეტაპი იმართება სექტემბრის მეორე შაბათ-კვირას; იწყება შაბათს ღამისთევით ტაძარში, რასაც მოჰყვება ხანგრძლივი მსვლელობა, ციკლი მთავრდება ღვთისმშობლის დაბრუნებით სან სევერინოში ზამპონიას დაკვრის თანხლებით. ფესტივალის მთავარი მომენტი, აქტუალურია მუსიკალური ტრადიციებისთვისაც, ორ ივლისს, როდესაც მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა რეგიონიდან მოდის ასობით მომლოცველი მათ შორის, ბევრი მუსიკოსი, განსაკუთრებით ზამპონიას დამკვრელები. პოლინოს ფესტივალი არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ზამპონიას
ცოცხალი ტრადიციის მოსასმენად იტალიაში. ამ ღონისძიების დროს ასევე ხდება მუსიკალური რეპერტუარების გადაცემა ხანდაზმული შემსრულებლებისგან ახალგაზრდა მუსიკოსებზე; უფრო მეტიც, ოსტატებს მოაქვთ და ყიდიან მათ მიერ დამზადებულ საკრავებს. პოლინოს ფესტივალი იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ჯერ კიდევ ცოცხალ მუსიკალურ ტრადიციაზე დაკვირვებისა და მისი მოსმენისთვის. ამ უნიკალურ შემთხვევას, წლების მანძილზე
სხვადასხვა მკვლევრები სწავლობდნენ. ფესტივალი მნიშვნელოვანია ზამპონიას, ორგანეტოსა და ტამბურელოს დამკვრელების შეხვედრისთვის. სხვადასხვა თაობის მუსიკოსები სხვადასხვა სოფლებიდან და რეგიონებიდან რამდენიმე დღით არაფორმალურად იკრიბებიან და ქმნიან განსაკუთრებულ მუსიკალურ თემს. ამიტომ ფესტივალი არის საკვანძო მომენტი ხალხური საკრავების მუსიკის შენარჩუნებისთვის.

ამ ღონისძიების ანგარიში, მასში მნიშვნელოვანი მუსიკის შესახებ, უკვე დაწერა მწერალმა და მოგზაურმა ნორმან დუგლასმა, ერთი საუკუნის წინ: „ეს არის გრანდიოზული პიკნიკი ღვთისმშობლის პატივსაცემად. ორი ათასი ადამიანი არის დაბანაკებული ტაძრის ირგვლივ, ვირებისა და ჯორების უზარმაზარი ლაშქრის ფონზე, რომელთა ყროყინი ერევა ორი სახის, კალაბრიულ და ბაზილიკატურ (უფრო დიდი ზომის, ჟღერადი ბანის გასაღებით, რომელიც მალე შეწყვეტს არსებობას [...]), გუდასტვირზე შესრულებულ პასტორალურ მუსიკას, ყველა მხრიდან ძველი გლეხური საზომით, პეკორარათი ტარანტელას მოცეკვავეთა ჯგუფები, მამრის გამოწვევა და თითების ტკაცუნი, პარტნიორი თვალებდახრილი იცილებს გამოწვევას[…] ღამეს არ მოაქვს მოსვენება; პირიქით, ხმაური უფრო გამოცოცხლდება; ცეცხლი ანათებს მდელოზე და ხეების ქვეშ; მოცეკვავეები არ ჩერდებიან, სპილენძისფილტვებიან მეგუდასტვირეებს დაღლილობის არაფერი ეტყობათ“. (ნორმან დუგლასი. 1926. ძველი კალაბრია, მარტინ სეკერი. ლონდონი, გვ. 151–153). დღესაც პოლინოს ფესტივალზე დასწრება, რელიგიური ასპექტის გარდა არის გამოცდილება, რომელიც აცოცხლებს დუგლასის მიერ აღწერილ სიტუაციას; ეს, მოწმობს მუსიკალურ ტრადიციაზე, რომელიც ცოცხალი გადარჩა და არც შეცვლილა დროთა განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Scaldaferri N., (2005), La zampogna in Basilicata. In Gioielli M., La Zampogna, gli aerofoni a sacco in Italia, vol. II, Cosmo Iannone Editore, Isernia.
- Scaldaferri N., (2022), The Bagpipes in the Mount Pollino Area (Southern Italy). In Morgenstern U., Ahmedaja A., Playing Multipart Music Solo and Ensemble Traditions in Europe, European Voices IV, Böhlau Verlag, Vienna.
- Mirizzi F., (2005) Le vie del sacro in Basilicata, Mondo Basilicata n.5, pp-37-40.

Photos (Archive Nicola Scaldaferri):

1) Madonna del Pollino: Domenico Miraglia (organetto) and Giuseppe Salamone (zampogna a chiave) play in front of the statue of the Virgin Mary, during the procession in the mountain woods.
2) Musician and artisan Quirino Valvano with a zampogna a chiave, made by himself.
3) Musician and artisan Quirino Valvano with a surdulina, made by himself.

ესპანეთი

გრაუსის მეგუდასტვირეთა ასოციაცია

გუდასტვირები და ტრადიციები: გრაუსის დღესასწაულები

რიბაგორსა არის ძლიერი კულტურული იდენტობის მქონე, ტრადიციებით მდიდარი რეგიონი, რომლისთვისაც მრავალი წელია იბრძვის. წინაპრების საკრავები, როგორიცაა გუდასტვირი, ჩაანაცვლა უფრო თანამედროვე საკრავებმა, შეიცვალა მისი მუსიკაც – ახალ დროებას მოერგო. რიტუალური კომპონენტით აღნიშნული მისი საგვარეულო დღესასწაულები ასევე მოერგო ცხოვრების ახალ წესს, პირინეების მოსახლეობის შემცირების შდეგად.

მაშინ როცა რიბაგორსას ქალაქების უმეტესობა ახერხებს თავისი ტრადიციული ფესტივალებისა და რიტუალური ცეკვების ნაწილის შენარჩუნებას, გრაუსი არის ფესტივალის პარადიგმა, რომელშიც შერეულია რელიგიური და წარმართული ტრადიციები.

12 სექტემბერს, მეგუდასტვირეები ჩამოდიან მწუხრის დროს. მათ შუა საუკუნეების ხიდზე ხვდება ქალაქის მთელი ხელისუფლება (როგორც სამოქალაქო, ისე რელიგიური) და გრაუსის მოსახლეობა. ბარბასტროს კარიბჭით სოფელში შესვლისას პირველი ჟღერს მელოდია სახელწოდებით "Entrada de la Gaita" (გუდასტვირის შესვლა). დენთისა და რეჰანის სუნის ნაზავი იპყრობს მთელ სოფელს. წვეულება დაიწყო და მეგუდასტვირეთა ყოფნის გარეშე ამის გაგება შეუძლებელია. ისინი აკეთებენ ინტიმური და რიტუალური სახის მელოდიების ინტერპრეტაციას, რომლებიც თან ახლავს ჩვენი მფარველი წმინდანებისადმი მიძღვნილ სიმღერებს. ხალხით გადავსებულ სან მიგელის ეკლესიაში ერთი მეგუდასტვირე უკრავს "ალბადას", ხოლო მუშკეტიდან გასროლები ძლიერი დენთის სუნით ავსებს მთელ გარემოს.

გუდასტვირები და მეგუდასტვირეები ფიესტას ცენტრს წარმოადგნენ. ისინი მონაწილეობენ რელიგიურ მსვლელობებში და უკრავენ "დანსეს"



(ტრადიციული ცეკვა ხმლებით) მელოდიებს. პლაზა მაიორზე (მთავარი მოედანი), შეგროვილი ხალხი ელოდება მოცეკვავეების მიერ გრაუსის ტრადიციული ცეკვების შესრულებას, რისი ნახვაც წელიწადში მხოლოდ ორჯერ შეუძლიათ: 13 და 14 სექტემბერს.
სხვა აქტივობები, როგორიცაა "პლეგა", ანუ გრაუსის ქუჩებში მსვლელობა შემოწირულობების შესაგროვებლად სანტო კრისტოს საძმოსთვის, რომელიც პასუხისმგებელი იყო ფესტივალების ხარჯებზე, ან "ალბადას" მღერა 15 სექტემბერს გამთენიისას მიმდინარეობს მეგუდასტვირეთა თანხლებით , რაც მათ გადააქცევსაუცილებელ ფიგურად "Fiestas de Graus"–ის განვითარებისთვის, ეს უკანასკნელუ ეროვნულ ტურისტულ ინტერესად გამოცხადდა 1973 წელს.

საკრავების დამზადება: გაიტა დე ბოტო, ტრომპა დე რიბაგორსა და კლარი.

ჩვენს ტერიტორიაზე გუდასტვირი ყველაზე წარმომადგენლობითი ინსტრუმენტია, მაგრამ როგორც ეს სხვა ადგილებში ხდება რიბაგორსაში ასევე გვხვდება ანსამბლი ჰობოისა და გუდასტვირის შემადგენლობით. ვიხსენებთ „Gaiters de Caserras" („კასერასის მეგუდასტვირეებს') და ვხედავთ ჯგუფს ბოტოს გუდასტვირისა და ორი რიბაგორსას საყვირის (რიბაგორსას ტრადიციული ჰობოი) შემადგენლობით. იმის მიუხედავად, რომ ტრადიცია მხოლოდ რამდენიმე წლით შეწყდა სამოქალაქო იმის დროს, ჩვენი გუდასტვირები გაქრა და 1945 წელს ისინი სხვა გუდასტვირებმა შეცვალა – ეს იყო გალიციური გუდასტვირები. შედეგად, ჩვენს ფოლკლორში გალიციური გუდასტვირები გვხვდებოდა, რადგან ჩვენ მშობლიურ საკრავებს აღარც ამზადებდნენ და აღარც უკრავდნენ.
1980-იან წლებში დაიწყო ჩვენი საკრავების აღდგენის პროცესი და დაიწყო ჩვენი გუდასტვირის, 'გაიტა დე ბოტოს', კვლევა. მარსელ გასტელუმ, საკრავების ოსტატმა ტარბესიდან, შეისწავლა იგი და ბესტუეში ნაპოვნი გუდასტვირის საფუძველზე დახატა მისი სქემები. 1990 წელს ისინი კვლავ გამოჩნდნენ გრაუსში და მეგუდასტვირეები უკრავდნენ ძველ საკრავებს ისევე როგორც რიბაგორსას მთებში.
მეორეს მხრივ, ჩვენი ყველაზე ქარიზმატული ჰობოი ტრომპა დე რიბაგორსას დავიწყების პროცესი კვლავ გრძელდებოდა მისი ასლის პოვნამდე გრაუსში მდებარე ერთ სახლში და წლების შემდეგ გამოჩნდა ამ საკრავის კიდევ ერთი ასლი.
1991 წელს, აღდგენის პროცესის დაწყებაზე პასუხისმგებელი იყო მარიანო პასკუალი, რათა დასრულებულიყო იმ ნაწილის აღდგენა, რომელიც კასერასის გუდასტვირებს აკლდა და საკრავი აღდგა. ხელოსნების არარსებობის გამო, რომლებსაც შეეძლოთ ჩაეტარებინათ ორგანოოლოგიური კვლევა, იგი დაუკავშირდა ბარბითის ოსტატებს ტულუზის კონსერვატორიაში; სადაც პირველი ასლები კლოდ რომერომ და ბერნატ დებლანკმა დაამზადეს. ადგილობრივმა ოსტატებმა მიგელ ფერერმა და მოგვიანებით სერხი იენამ განაგრძეს ჩვენი გუდასტვირისა და ჩვენი ჰობოის დამზადება. მარიანო პასკუალმა და სერხი იენამ განაგრძეს იმ დაკარგული საკრავების კვლევა, რომლებზეც მწყემსები უკრავდნენ და თვითონვე ამზადებდნენ.

2022 წლის ნოემბერში მათ წარმოადგინეს კვლევა 'კლარის' აღდგენის შესახებ, ეს არის ტრადიციული საკრავი რომელიც ყველგან გვხვდება მდინარე ისაბენას ხეობაში.
ტრადიციულად, ჩვენი საკრავები დაკავშირებულია ჩვენს მიწასთან, მის
რესურსებთან და მის მასალებთან. მერქანი ჩვენი ტყეებიდან არის, ჩვენს საკრავებში ყველაზე მეტად გამოიყენება ბზა, ზეთისხილისა და ნუშის ხეები.
ძროხის რქა, ძვალი ან თუნუქი ასევე გამოიყენება როგორც დეკორატიული ელემენტები, რომლებიც აძლიერებენ საკრავის სუსტ ნაწილებს, ისე როგორც ეს ჩვენს სახლებში, ეკლესიებში ხდება..... ჩვენს საკრავებზე ასევე გვხვდება დაცვის ფუნქციის მქონე მზის სიმბოლოები და სხვა ელემენტები, როგორიცაა
გველის ტყავი, რომელიც ჯადოსნურ და ეზოთერულ ცხოველად ითვლება,
რაც ჩვენს გუდასტვირებს მისტიკურ ხასიათს ანიჭებს.
ის, რაც ჩვენს გუდასტვირებს პიროვნულობას ანიჭებს არის კაბა. ერთმა მეგუდასტვირემ ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ და იმ მონატრებისა და სევდის გამო, რასაც ის გრძნობდა, მისი კაბა გუდასტვირზე ჩამოაცვა. დაკვრის დროს მას ჰქონდა შეგრძნება თითქოს მისი ქალიშვილი მღეროდა და შეეძლო მისი ხელში დაჭერა. ეს ისტორია მთელ არაგონში გავრცელდა და სხვა მეგუდასტვირეებმაც დაიწყეს საკრავებზე კაბების ჩამოცმა. ვერასდროს გავიგებთ, მართალია თუ არა ეს სევდიანი ამბავი, მაგრამ როდესაც ვყვებით იმ მეგუდასტვირეს გახსენებით მღელვარება გვეუფლება.

მზერა მომავალში

გლობალიზებულ სამყაროში, სადაც ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება, ერთი წუთით უნდა გავჩერდეთ, ამოვისუნთქოთ და ვიფიქროთ ამწამიერის მიღმა. ვინ დაიცავს ტრადიციას, თუ ჩვენ არ შეგვიძლია? ჩვენი ახალგაზრდობა ახალ ციფრულ ეპოქაში ცხოვრობს, ეს არის სრულიად ახალი სამყარო, სადაც შესაძლებელია ასობით კილომეტრით დაშორებულ ათასობით ადამიანთან დაკავშირება აპლიკაციებითა და ტელეფონით. ჩვენი ახალი თაობები სულ უფრო მეტად შორდებიან თავის სასიცოცხლო გარემოს, ავიწყდებათ ყველაფერი, რაც მათ აკავშირებს იმ მიწასთან სადაც ისინი ცხოვრობენ, და ყველა რიტუალი და ტრადიცია იკარგება. ეს ის პრობლემაა რომელიც სცდება საზღვრებს, როგორც ჩვენ გადავამოწმეთ კოლეგებთან სხვა ქვეყნებში. რიბაგორსაში (არაგონი) განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი ტრადიციული მუსიკისა და ტრადიციების ჩვენეული ცოდნის გავრცელებისა და პოპულარიზაციისთვის პატარებსა და მოზარდებს შორის. ვითანამშრომლეთ სკოლასთან, მუსიკალურ სკოლაში შევიტანეთ ტრადიციული საკრავები და ჩავატარეთ ტრადიციული მუსიკის ინტენსიური კურსები სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა პროფილებით. ყველა დაპროგრამებულ აქტივობაში დასახული გვაქვს მიზნები და კონცეფციები
რომლებიც სცილდება გუდასტვირის პრაქტიკას. მუსიკალური კონცეფციები მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა, ენობრივი, გეოგრაფიული, ისტორიული სახის მცნებებთან.....

სერხი იეტას, პილი ტედოსა და ხოსე მანუელ ბეტატოს ფოტოები.

პროექტი პეპა ჩირეტა

პროექტის ავტორის, სერხი იენა მურის თქმით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ისეთი ვიზუალური სტიმულის შექმნა, რომელიც შეძლებდა ჩამოყალიბებული სქემების დანგრევას. იქ დაიბადა პეპა ჩირეტა, გოგონა, რომელსაც უნდოდა მეგუდასტვირე გამხდარიყო. პეპას ახსოვდა ძველი მეგუდასტვირეები, რომლებიც ლამაზ მელოდიებს უკრავდნენ გუდასტვირებზე და მან იმოგზაურა პირენეებში საკრავებისა და სიმღერების მოსაძებნად. სკოლებში საჩვენებლად შეიქმნა შოუ დამატებითი აქტივობებით, რაც საშუალებას მოგვცემდა პროპაგანდა გაგვეწია ჩვენი საკრავებისა და ტრადიციებისთვის. გამოვიდა კომპაქტური დისკი სათაურით „პეპა ჩირეტა: მუსიკა, ცეკვა და სხვა ამბები“, რომლის საკონცერტო ვერსია საოჯახო აუდიტორიას მიეძღვნა.

ვახორციელებთ უფრო კონკრეტულ სამუშაოებს ტრადიციული მუსიკის სფეროში მასტერკლასების მეშვეობით, სადაც თავის მუსიკალური ცოდნას ბავშვები და მოზარდები პრაქტიკაში ახორციელებენ თავისი საკრავებით, რათა შეიგრძნონ პირენეის ტრადიციულ მუსიკასთან ერთად ცხოვრების ახალი გამოცდილება.

კიდევ ერთი გამოწვევა იყო ტრადიციული საკრავების შემოღება მუსიკალურ სკოლებში. ამისთვის საჭირო იყო პედაგოგებისთვის შეთავაზება. ის უნდა იყოს მიმზიდველიდა და უნდა შეძლოს სასურველი მიზნების მიღწევა: ტრადიციული მუსიკისა და საკრავების ბავშვებამდე მიტანა. პატარა ხელებზე ადაპტირებული საკრავების ქონა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ამ ახალი საკრავების წარმატებით დანერგვისთვის მუსიკალურ სკოლებში.

ჩემი მეგობარი მეგუდასტვირეები

ჩვენი მეგობარი პეპა ჩირეტა მოგზაურობს პირენეებში და სხვა ადგილებში, ეძებს საკრავებსა და მელოდიებს, იძენს ახალ მეგობრებს. „ჩემი მეგობარი მეგუდასტვირეები“ არის სერხი იენა მურის ახალი პროექტი, რომელიც ლოქდაუნის დროს დაიწყო. ეს არის ვიდეოების კოლექცია, რომელიც ხელმისაწვდომია YouTube-ზე, სადაც მეგუდასტვირეები მთელი ევროპიდან საუბრობენ თავის საკრავებზე და თავის მელოდიებსაც ასრულებენ. ვიდეოებში შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მათი ქვეყნების ზოგიერთი უცნაურობა, გავეცნოთ მათ გეოგრაფიულ რეგიონებს და მოვისმინოთ სხვადასხვა ენები რომლებზეც ევროპაში საუბრობენ. ამ ყველაფერს თანდართული აქვს მეგუდასტვირეთა ბრწყინვალე სამყაროს ვიზუალიზაციის მიზნით შექმნილი კოლექცია (ჩანთები, მაისურები, ჭიქები...).

სლოვაკეთი

სლოვაკ მეგუდასტვირეთა გილდია

სლოვაკური გუდასტვირის კულტურა და იუნესკო

სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდიამ დაიწყო სლოვაკური გუდასტვირის შეტანა ჯერ არამატერიალური მემკვიდრეობის ეროვნულ სიაში, ხოლო 2015 წლის 2 დეკემბერს სლოვაკური გუდასტვირისა და მეგუდასტვირეთა კულტურა შეემატა იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის პრესტიჟულ სიას. მეგუდასტვირეებს აქვთ პრეზენტაციის რამდენიმე მუდმივი შესაძლებლობა გუდასტვირების რეგულარულ ფესტივალებზე და პერიოდულად ფოლკლორულ ღონისძიებებსა და ფესტივალებზე. რეგისტრაციის შემდეგ გაიზარდა ფოლკლორული ანსამბლებისა და მთელი ფოლკლორულ საზოგადოების ყურადღება გუდასტვირებისა და გუდასტვირით ცეკვების მიმართ, რამაც ახალი შესაძლებლობები მოიტანა გუდასტვირის კულტურის, განსაკუთრებით ცეკვებისა და საკრავიერი მუსიკის პრეზენტაციისთვის. გუდასტვირის ტრადიციის გამოცდილების მქონე ფოლკლორულ ანსამბლებს შორის, შეგვიძლია აღვნიშნოთ „ფდ პონიტრანი“, რომლის წარმოდგენილი რამდენიმე გადაცემის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო გუდასტვირი. “SĽUK” (სლოვაკური ხალხური ხელოვნების კოლექტივი/ სლოვაკეთის ტრადიციული ცეკვის სახელმწიფო კომპანია) – პროფესიონალური ცეკვის ანსამბლს თავის რეპერტუარში ჰქონდა გუდასტვირის რამდენიმე ინსტრუმენტული ინტერპრეტაცია, რამაც გუდასტვირის კულტურა შეიტანა სლოვაკეთის ყველაზე აღიარებულ თეატრალურ სცენებზე.

სლოვაკეთში გუდასტვირის კულტურა ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანთა იმ თემებისთვის, რომლებიც ზრუნავენ ფოლკლორული გამოხატვის უნიკალურობისა და თავისებურებების შენარჩუნებაზე, რაც აღიქმება როგორც ხალხისა და ტრადიციების იდენტიფიკაციის ნიშანი ამ რეგიონში. სიაში დამატებამ გაზარდა ამ ელემენტისადმი პატივისცემა. მუნიციპალიტეტები, რომლებშიც ეს ტრადიცია არსებობს, ცდილობენ მის ხელშეწყობასა და განვითარებას. გუდასტვირის მიმართ პატივისცემა ფოლკლორულ საზოგადოებაში გაიზარდა და გუდასტვირები ჩნდება ყველა დიდ ფესტივალზე. თუ შესაძლებლობა აქვთ ამ ელემენტის გამოყენებას ცდილობენ ფოლკლორული ანსამბლები და კოლექტივები.

ფესტივალი გაიდოშის კარნავალი

სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდიის ერთ-ერთი პირველი და დღემდე
ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა არის ფესტივალის „გაიდოშის კარნავალი“ მოწყობა. ეს ფესტივალი 36 წელია არსებობს. ფესტივალის ნაწილია შემდეგი მნიშვნელოვანი საუკეთესო პრაქტიკები:

- აქცენტი ახალგაზრდა თაობაზე. ფესტივალამდე ადგილობრივ სკოლებში ბავშვები იძენენ ცოდნას გუდასტვირებისა და ტრადიციების შესახებ, რაც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილს წარმოადგენს. ფესტივალი მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა მეგუდასტვირეებს.

- ეს არის სლოვაკი მეგუდასტვირეებისა და ხელოსნების შეხვედრის ადგილი. სლოვაკი მეგუდასტვირეებისა და ხელოსნების უმრავლესობა ერთმანეთს ხვდებიან ხვდებიან ამ ფესტივალზე და სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდიის გენერალურ ასამბლეაზე, ასე ინარჩუნებენ თემს, ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო პრაქტიკებს, და სხვ. აღნიშნულ თემებზე ასევე იმართება არარეგულარული მასტერკლასები.
- ტრადიციის გადარჩენა. სლოვაკეთის მეგუდასტვირეთა გილდიის გენერალურ კრებაზე განიხილავენ ტრადიციის ახალი ტენდენციებსა

და ახალ რისკებს, მაგ. დაკვრა სხვა მეგუდასტვირეებთან ან სხვა ბენდთან ერთად, რაც საფრთხეს წარმოადგენს ინდივიდუალური დაკვრის სტილისთვის. შედეგად შეიქმნა მეგუდასტვირეთა კონკურენციის კონცეფცია.

მეგუდასტვირეთა კულტურის გაცნობა პუბლიკაციების მეშვეობით

გუდასტვირის კულტურის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და საინტერესოდ მიწოდება თანამედროვე მომხმარებლებისთვის არის გუდასტვირის კულტურასთან ახალბედების დაახლოების გამოცდილი მეთოდი. აი რამდენიმე უახლესი პუბლიკაცია, რომელიც გვთავაზობს შეხედულებებს დასავლეთ სლოვაკეთის ნიტრას რეგიონის გუდასტვირის კულტურაზე.
რობერტ ჟილიკის წიგნი „როცა ზეცა საყვირებს უკრავს“.
ავტორი გვიცნობს ღორების, ცხვრებისა და სხვა ცხოველების მწყემსვის 300-წლიან ტრადიციას. მკითხველს პირველად აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მწყემსების 1718 წლის სტატიებს გრაფი ჰუნიადის მამულის შესახებ. მემუარები, ასევე ავტორისეული ზღაპრები და ლეგენდები, ცრურწმენებით სავსე მოთხრობები მკითხველს ეხმარება გაიცნოს მწყემსების სამყარო, ცხოვრება ძველ ფერმებში და შეიტყოს მითოლოგიური მოვლენების შესახებ (ჯადოქრობა, ჯადოსნური გუდასტვირები).
გუდასტვირის ტრადიცია ჩვენთან ნიტრას რეგიონში წიგნში წარმოდგენილია ტექსტითა და 60 გუდასტვირის სურათებით. ეს ფაქტი გვაყენებს სლოვაკეთში გუდასტვირის ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონებს შორის.
პუბლიკაციაში თავმოყრილი მხატვრული რეპროდუქციები სლოვაკეთის გალერეებიდან, ამყარებს წარსულში მწყემსებისა და მუსიკოსების იდეას. ავტორი პატივს მიაგებს მუსიკალური ტრადიციების ცოცხალ და გარდაცვლილ მატარებლებს (კონკრეტული ადამიანების ვრცელი სია). წიგნის თავში სათაურით „როგორ აღმოვაჩინეთ მეგუდასტვირეები“, ავტორი გვაცნობს არა მხოლოდ ისტორიას, არამედ ასევე საუბრობს იმაზე, თუ როგორ შეგვიძლია დავუბრუნდეთ ჩვენი წინაპრების ღირებულებებს. წიგნის ბოლო ნაწილში მკითხველი ნახავს 90-მდე სიმღერას (ნოტებს, ბევრი მათგანი გუდასტვირისთვისაა) ორიგინალური ტექსტებით, რაც ხელს შეუწყობს ხალხური მუსიკალური კულტურის შემდგომ გავრცელებას.

გამოცემა „როცა ზეცა საყვირებს უკრავს“ განკუთვნილია ისტორიის, ეთნოგრაფიის მოყვარულთათვის, ფოლკლორისტებისთვის, სკოლებისთვის, როგორც რეგიონული განათლების ნაწილისთვის, მუნიციპალური ხელისუფლების მიერ ამ რეგიონის ვიზიტორებისა და საზოგადოებისთვის სოფლების, კულტურული და რეკრეაციული ობიექტების წარდგენისთვის. ავტორის სურვილია მკითხველის განათლება ან გამხიარულება თავისი ლირიკული ინფორმაციით, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ნიტრას რეგიონის ახალგაზრდა და ხანდაზმული მოქალაქეების ისტორიული და კულტურული ცნობიერების ამაღლება.

ამ გამოცემის საპასუხოდ მეგუდასტვირე ტომას ბლაჟეკმა გადაწყვიტა ჩაეწერა კომპაქტური დისკი „სოფელში დადის მეგუდასტვირე“. დისკი მოიცავს რამდენიმე ტიპის მუსიკალურ ნიმუშს, სახელწოდებით რუნდა (რაუნდები), ეს არის სოფლის მაცხოვრებლების სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენების ამსახველი სურათები, ცეკვები, შობა, კარნავალები, ომი, საცეკვაო მეჯლისები და ა.შ. სიმღერებში წარმოდგენილია ნიტრას რეგიონი გუდასტვირის ჰანგები და ასევე მრავალი სხვა ტრადიციული საკრავი.

სიახლეები

უკანასკნელ წლებში სლოვაკეთში შესამჩნევად გაიზარდა გუდასტვირზე დაკვრისადმი ინტერესი ძირითადად ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის. თუმცა ხშირად ამბობენ, რომ ახალი გუდასტვირის ფასი დამწყები მუსიკოსისთვის ძალიან მაღალია და ყველას არ აქვს საკრავის სხვისგან თხოვნის შესაძლებლობა. ჩვენ ვხედავთ რომ დამწყები მუსიკოსებისთვის გუდასტვირის დასამზადებლად იყენებენ 3D პრინტერებს, როგორც ფასის მხრივ ხელმისაწვდომ საშუალებას.

ეს გულისხმობს გუდასტვირის 3D მოდელის შექმნას და FFF ტიპის 3D ბეჭდვის გამოყენებას, რასაც შეუძლია შეამციროს საკრავის დამზადების ხარჯები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ წარმოების ამ მეთოდის მიზანი არის არა კლასიკური ტრადიციული ხის ინსტრუმენტის ჩანაცვლება, არამედ დამწყებთათვის, დაკვრის ტექნიკის სწავლის მიზნით, უფრო ხელმისაწვდომი ვერსიის გამოტანა ბაზარზე. აქამდე ჩატარებული ექსპერიმენტებიდან ჩანს, რომ გუდასტვირის 3D დაბეჭდილ ნაწილებს შეუძლიათ კლასიკური ხის გუდასტვირების მსგავსი ბგერების გამოცემა, მაგრამ ბგერის ელფერი მნიშვნელოვნად განსხვავებულია.

მისო ვესელსკის ფოტოები:

საქართველო

3. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

ქართული გუდასტვირი გავრცელებული იყო ქართლში, რაჭაში, აჭარაში (სადაც მას ჭიბონს ეძახიან), მესხეთში (სადაც მას თულუმს ეძახიან) და ფშავში. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტემბრით, გუდის ტევადობით/ზომით და ორ სტვირზე თვლების რაოდენობით. დღეს ამ საკრავის ტრადიცია ძირითადად შემორჩენილია საქართველოს ორ რეგიონში – აჭარასა და რაჭაში.

აჭარული გუდასტვირი. ჭიბონზე დაკვრა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონის აჭარის ტრადიციული ცხოვრების ორგანული ნაწილია . წარსულში ეს საკრავი ყოველთვის თან ახლდა საზოგადოების სადღესასწაულო თავყრილობებს. მასზე უმეტესად საცეკვაო მელოდიებს უკრავდნენ. ზოგიერთი მეჭიბონე თან უკრავდა, თან ცეკვავდა. როგორც წესი, მეჭიბონის სტატუსი – ნიშნავდა საკრავის ოსტატობას, მისი დამზადების პრაქტიკულ ცოდნას. ეს ხშირად ოჯახური ტრადიცია იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მეჭიბონეთა რაოდენობა აჭარაში შემცირდა. იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა ასაკის ადამიანები კვლავ უკრავენ ჭიბონს, სულ უფრო ნაკლები ადამიანი ფლობს მისი დამზადების ტექნოლოგიას, ეს ძირითადად უფროსი თაობის პრეროგატივაა.

მურად თავართქილაძე (დაბ. 1961წ.) არის აჭარულიჭიბონის ტრადიციის ვირტუოზი წარმომადგენელი. ის დღესაც ცხოვრობს და მუშაობს მშობლიურ სოფელ კოკოტაურში (ქედის მუნიციპალიტეტი). ჭიბონის დაკვრის სურვილს თავართქილაძე ბავშვობის მოგონებას უკავშირებს. ჯერ კიდევ პატარა ბიჭზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მამის – მერდიალ თავართქილაძისა და ვასო ირემაძის, წარსულში ამ საკრავის ცნობილი ოსტატი, ერთობლივმა შესრულებამ. მისი ჭიბონის პირველი მასწავლებელი მამა იყო, მოგვიანებით კი ვასო ირემაძე. 14 წლის მურადმა უკვე აითვისა ჭიბონის დაკვრის ტექნიკა და ამავე პერიოდიდან სწავლობდა საკრავის დამზადებას.

მურად თავართქილაძე, მშებენელ-ინჟინერია, თუმცა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ძირითადად ჭიბონთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, მას აქვს მდიდარი გამოცდილება: სხვადასხვა წლებში უკრავდა ბათუმის პროფესიული სკოლის ქორეოგრაფიულ ანსამბლში, ქედის მუნიციპალიტეტის ანსამბლში „ფესვები“,სოფელ ცხმორისის ჯგუფში ხორუმის მოცეკვავეებთან; იყო ჭიბონის მასწავლებელი საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში „ერისიონი“. ახლაც ასწავლის ქედაში, ასევე მათ, ვინც მასთან საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოდიან. მის საკრავებს ძირითადად უცხოელები ყიდულობენ. როგორც ის აღნიშნავს, მუშაობის პერიოდში მან 300-ზე მეტი ჭიბონი დაამზადა. მურად თავართქილძე ამ ტრადიციის ტიპური წარმომადგენელია მემკვიდრეობით მიღებული თავისი ცოდნით, რომელიც მოიცავს საკრავის როგორც დაკვრას, ისე დამზადებას; ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის თავისი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, ის საკრავს პოპულარიზაციას უწევს ფოლკლორულ კონცერტებზე, ადგილობრივ და ეროვნულ ფესტივალებსა და პროექტებში მონაწილეობით.

რაჭული გუდასტვირი. რაჭა, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონი წარსულში განთქმული იყო გუდასტვირის ტრადიციით, მესტვირეობით. მე-19 საუკუნის მონაცემებით ამ რეგიონს მრავალი მეგუდასტვირე ჰყავდა. ისინი ძირითადად მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ და მათი საქმიანობის სფერო ზოგჯერ საქართველოს საზღვრებს სცილდებოდა. მესტვირეობა დაფუძნებულია ოსტატ-შეგირდობის ძლიერ ტრადიციაზე. 12–15 წლის მოზარდს მიაბარებდნენ ცნობილ ოსტატს, რომლისგანაც, წლების განმავლობაში შეგირდი შეიძენდა პროფესიულ უნარებს. მესტვირეები სადღესასწაულო თავყრილობების შეუცვლელი მონაწილეები იყვნენ. გუდასტვირს ისინი იყენებდნენ არა როგორც სოლო საკრავს, არამედ სიმღერის თანხლებისთვის. მე-20 საუკუნეში ამ ტრადიციის დასუსტება დაიწყო, თანდათან გუდასტვირის დაკვრა იშვიათობა გახდა. ამჟამად რაჭული გუდასტვირის ტრადიციის აღორძინებისთვის მოძრაობა უკავშირდება ორ ახალგაზრდა მუსიკოსს – თორნიკე სხიერელსა და ლევან ბერელიძეს.

თორნიკე სხიერელი (დაბ. 1989წ) – ბავშვობიდან დაინტერესდა ქართული ტრადიციული მუსიკით – მრავალხმიანი სიმღერებითა და საკრავებით. მისი ინტერესს აძლიერებდა ფოლკლორული ატმოსფერო, რომელიც 1990-იანი წლის ბოლოს სუფევდა მის ოჯახსა და მშობლიურ სოფელში.
თორნიკემ თბილისში დაამთავრა გიორგი მთაწმინდელის გალობის სასწავლებელი ხალხური სიმღერებისა და საგალობლების გუნდის ხელმძღვანელის სპეციალობით.სწავლის პარალელურად ის ხშირად ბრუნდებოდა რაჭაში ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგროვების მიზნით. ის ასევე დაინტერესებული იყო ხალხური საკრავების დამზადების ტექნოლოგიით და ცდილობდა ინფორმაცია მოეძია ეთნოფორებისაგან და სამეცნიერო ლიტერატურიდან.
სწავლის დამთავრების შემდეგ, თორნიკე რაჭაში დაბრუნდა. 2016 წლიდან, არის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლის პედაგოგი ონის მუნიციპალიტეტში. ხელმძღვანელობს რაჭული რეპერტუარის შემსრულებელ ანსამბლებს „საგალობელი“ და „ძირიანი“. უკრავს რაჭაში გავრცელებულ საკრავებზე, მათ შორის გუდასტვირზე. 2022 წელს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით თორნიკე სხიერელმა დააარსა ტრადიციული ჭიანურისა და გუდასტვირის წარმოების ოსტატ-შეგირდთა სკოლა ონის მუნიციპალიტეტში. ამ პროექტის ფარგლებში მოეწყო სამუშაო სივრცეები საკრავების წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობითა და ინვენტარით. საკრავის დამზადებასთან ერთად შეგირდები იძენენ დაკვრის გამოცდილებას. თორნიკე ხშირად მასპინძლობს მასტერკლასებს უცხოელებისთვის როგორც რაჭაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თორნიკე სხიერელი როგორც შემსრულებელი და მასწავლებელი ცდილობს წვლილი შეიტანოს რაჭული გუდასტვირის გამქრალი ტრადიციის აღდგენაში, შენახვასა და პოპულარიზაციაში.

ლევან ბერელიძე (დაბ. 1990წ.) გაიზარდა მდიდარი მუსიკალური ტრადიციებით ცნობილ ოჯახში რაჭაში. ბავშვობიდან გამორჩეული ადგილი მის ცხოვრებაში ეკავა ქართული მრავალხმიან სიმღერასა და ტრადიციულ საკრავებს. მისი მშობლები, ძმა, შვილები და ძმისშვილები მღერიან და უკრავენ სხვადასხვა საკრავებზე.

ლევანის დაბადებიდან მალევე, მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა რაჭიდან საკმაოდ შორს, ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავში, სადაც ის 2016 წლამდე ცხოვრობდა. ლევანმა დაამთავრა გიორგი მთაწმინდელის გალობის სასწავლებელი თბილისში, სადაც დაეუფლა ხალხური სიმღერისა და გალობის გუნდის ხელმძღვანელის პროფესიას.

2016 წელს ლევან ბერელიძე უფროს ძმასთან ერთად მშობლიურ რაჭაში დაბრუნდა. ამ პერიოდიდან იგი ხელმძღვანელობს ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდს; არის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლის პედაგოგი ამბროლაურში; ხელმძღვანელობს მისი ოჯახის სამი თაობით წარმოდგენილ ბერელიძეების საოჯახო ანსამბლს. ლევან ბერელიძე გუდასტვირით 2011 წელს დაინტერესდა. მან გადაწყვიტა ესწავლა ამ ინსტრუმენტზე დაკვრა და მისი დამზადების წესები რაჭასა და ქართლში ჯერ კიდევ მცხოვრები გუდასტვირის მოხუცი შემსრულებლებისგან.

დღეს რაჭისთვის დამახასიათებელ სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებთან ერთად – ჭიანური და დაირა – ლევანი ცდილობს გააგრძელოს რეგიონის ინსტრუმენტული ტრადიცია. მისი რეპერტუარი მოიცავს ძველი აუდიო ჩანაწერებიდან აღდგენილ ნიმუშებს, რომლებსაც ის კონცერტებსა და ფესტივალებზე ასრულებს, და ამ გზით რაჭულ გუდასტვირს პოპულარიზაციას უწევს ქართველ დაუცხოელ მსმენელებში.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის
საერთაშორისო ცენტრის ფოტოები

ბელარუსი

ბელარუსის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი

ჰლიბოკაე, ბელარუსი

"დუდარკი რეი" არის ევროპის გუდასტვირების რეგიონების საერთაშორისო ფესტივალი; ის განასახიერებს ჩვენს საუკეთესო პრაქტიკას გუდასტვირის ადგილობრივი ტრადიციების აღორძინებაში. 2017 წელს დაარსებული ეს ფესტივალი, ამ ტიპის პირველი ფორუმია, რომლის მთავარი იდეა არის გუდასტვირების რეგიონების ინტეგრირება ევროპის მასშტაბით, განსხვავებით სხვა ფესტივალებისგან, რომლებიც კონკრეტულ ქვეყნებზეა კონცენტრირებული. ვინაიდან ევროპული ტრადიციების უმეტესობა არის ადგილობრივი, რეგიონული, და არა ეროვნული ფენომენი, "დუდარკი რეის" ამოცანაა ამ რეგიონების გაერთიანება და მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერება, მათი რეგიონული პოტენციალისა და გუდასტვირის ტრადიციების უნიკალურობის ხაზგასმით.

გუდასტვირის მუსიკის ზეიმის მიღმა, ფესტივალი კულტურულ ხასიათს ატარებს, როგორც გუდასტვირის საერთო ისტორიით გაერთიანებული სხვადასხვა რეგიონის კულტურათა გაცვლისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის პლატფორმა. გუდასტვირის სიყვარულითა და უნიკალური კულტურული ტრადიციებით გაერთიანებული ფესტივალის მონაწილეები ევროპის სხვადასხვა ადგილებიდან, ერთად იკრიბებიან, რათა ერთმანეთისგან ისწავლონ, ერთმანეთს გაუზიარონ თავისი მუსიკა და ისტორიები; და დაამყარონ ურთიერთობები, რომლებიც ყველანაირ საზღვრებს დაძლევენ.

ეს ღონისძიება აკავშირებს და მდგრადობას ანიჭებს ფესტივალის საუკეთესო პრაქტიკებს. პირველი პრაქტიკა არის ყოველწლიურად ერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტის აღორძინება, ან ცნობილი ადგილობრივის ასლის გადაღებით ან გუდასტვირის ტრადიციის შთაგონებული უნიკალური ხელოვნების შექმნით. მაგალითად, ფესტივალმა გააცოცხლა 1849 წლის გუდასტვირების უძველესი ნაკრები, ზუსტი ასლის შექმნით ორიგინალის ბაზაზე, რომელიც საზღვარგარეთ ინახებოდა. კომპლექტის ოფიციალურად წარდგენამ ფესტივალზე, ის ადგილობრივი და სახელმწიფო მედიის ყურადღების ცენტრში მოაქცია. კომპლექტი ფესტივალზე ააჟღერეს და შემდეგ ადგილობრივ მუზეუმში განათავსეს. გარდა ამისა, ადგილობრივ პროფესიონალ და მოყვარულ მხატვრებს ყოველწლიურად მოუწოდებენ ასახონ გუდასტვირების ისტორია მათთვის სასურველო ტექნიკით, მაგ. ფერწერა, ქაღალდის ჭრა, თიხა, ჩალა და სხვა. მათი ხელოვნება წარედგინება ფესტივალის სტუმრებს და გამოიყენება ფესტივალის ლოგოებისა და სხვა ვიზუალური მასალისთვის. ყოველწლიურად იბეჭდება წიგნი, ბუკლეტი, რუკა ან საფოსტო ბარათი გუდასტვირის ადგილობრივი ტრადიციების შესახებ ახალი აღმოჩენებით.

მეორე საუკეთესო პრაქტიკა არის ადგილობრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ჩართულობა. ფესტივალი ცდილობს ყოველწლიურად, ჩართოს მეტი ადგილობრივი ინსტიტუტი და ორგანიზაცია, მაგ., მუსიკალური და სახელოვნებო სკოლები, ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმები, ადგილობრივი ბიბლიოთეკები, ბიზნესის მფლობელები, სასტუმროები, სუვენირების მაღაზიის მფლობელები, ადგილობრივი კვების მწარმოებლები და საეკლესიო თემები. ეს ჩართულობა საშუალებას აძლევს ადამიანებს გაეცნონ ტრადიციას და იპოვონ ახალი პარტნიორები, რომლებიც მზად არიან დახარჯონ ფული ფესტივალზე, მათი ბიზნესის რეკლამირების შესაძლებლობით.

1849 წლის უძველესი შემონახული ბელორუსული გუდასტვირები ვიერასეიდან (ჰლიბოკაეს რაიონი), ვიტალ ვორანაუს ფოტო.

Festival souvenirs.
Photo by Vital Voranau

ვლადიმირ სურაბატუნის ფოტო

მესამე საუკეთესო პრაქტიკა არის თითოეული ფესტივალის მიძღვნა კონკრეტული მეგუდასტვირესა ან პირისადმი, რომელსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა გუდასტვირის ადგილობრივი ტრადიციის შენარჩუნებაზე. ფესტივალი ასევე არ არის ორიენტირებული მხოლოდ ქალაქზე ჰლიბოკაეზე, არამედ მიზნად ისახავს მოიცვას და ჩართოს რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი თემი, განსაკუთრებით კულტურული ინფრასტრუქტურის, როგორიცაა ადგილობრივი კულტურის სახლები, მქონე სოფლები. ეს თემები, როგორც წესი, მზად არიან უმასპინძლონ ფესტივალით გათვალისწინებულ აქტივობებს, და სურთ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ კულტურულ ღონისძიებაში.

დასასრულს, "დუდარკი რეის" ფესტივალის საუკეთესო პრაქტიკები ხაზს უსვამს მის წარმატებას გუდასტვირის საერთო ისტორიით გაერთიანებული სხვადასხვა რეგიონის კულტურული გაცვლისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობაში. ფესტივალი ფოკუსირებულია ევროპის გუდასტვირის რეგიონების ინტეგრაციაზე, მნიშვნელოვანი არტეფაქტების აღორძინებაზე, ადგილობრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობაზე და კონკრეტული მეგუდასტვირეების ან ადამიანების ძალისხმევაზე, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს გუდასტვირის ადგილობრივი ტრადიციის შენარჩუნებაზე, წვლილი შეიტანეს ფესტივალის მნიშვნელობის ზრდაში გუდასტვირის მუსიკის ზეიმის მიღმა. რაიონის ყველა აქტივობა და მნიშვნელოვანი ადგილი ინტერაქტიურად მონიშნულია გუდასტვირის ტრადიციების
რუკაზე, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.[4]

[4] https://www.google.com/maps/d/edit?mid=1_vjWqVxDK50th2Cm8WCujtD2CLj5zzAh

დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ხელმისაწვდომია აქ: **www.suitunovads.lv**
და პროექტის პარტნიორების ვებგვერდებზე

ასოცირებული პარტნიორები:
ლატვიის კულტურის ეროვნული ცენტრი და
იუნესკოს ლატვიის ეროვნული კომისია

Latvijas Nacionālais kultūras centrs

unesco
Latvijas Nacionālā komisija